„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის

განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს კონსტიტუციაში, კერძოდ, 73-ე მუხლში შეტანილი ცვლილება, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან და, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით განსაზღვრულ კონსტიტუციის 73-ე მუხლთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი მე-20 მუხლის თანახმად, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ პარლამენტის წევრის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ხელყოფა ემუქრება, პარლამენტის წევრის განცხადებისა და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კონსტიტუციის იმ დებულებიდან გამომდინარე, რომელიც ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან, საქართველოს პრეზიდენტი აღჭურვილია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებებით. ამ უფლებამოსილებათა შორის კი არ არის ზემოაღნიშნული უფლებამოსილება. ამიტომ წარმოდგენილი კანონპროექტით განისაზღვრა, რომ პარლამენტის წევრისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს რაიმე სახის ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი შალვა შავგულიძე.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი შალვა შავგულიძე.